

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი თამაშობებიდან	11
6. თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	11
7. კომერციული ხარჯი	11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12
9. ფინანსური ხარჯი	12
10. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	12
11. სხვა არასაოპერაციო წმინდა შემოსულობა/(ზარალი).....	12
12. ძირითადი საშუალებები.....	13
13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14
14. გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები	14
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
16. კაპიტალი	14
17. მიღებული სესხები.....	15
18. საგადასახადო ვალდებულებები	15
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	16
21. პირობითი ვალდებულებები.....	17
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	21
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	21
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	21
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	21
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ ხელმძღვანელობასა და მეწილეებს:

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ალტერნატიული პროცედურებით მარაგების ფიზიკურ არსებობასა და კონდიციაში. შესაბამისად, ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიაში დიდი ხნის განმავლობაში არ არის ჩატარებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და დანომვრა, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ჯგუფის გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში, რადგან არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული აქტივის მიკვლევადობას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესადარის პერიოდში წარდგენილ თანხებთან მიმართებაში.

როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-16 შენიშვნაში, კომპანიამ 2020 და 2019 წელს გამოაცხადა დივიდენდები შესაბამისად 2,000 ათასი და 2,421 ათასი ლარის ოდენობით. ამავდროს 2020 წელს საწესდებო კაპიტალი შემცირებულია 70 ათასი ლარით, 2019 წელს კი 433 ათასი ლარით. ჩვენ ვერ დავადასტურეთ პირველადი დოკუმენტებით დივიდენდების გამოცხადების და კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვის სისწორე. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა კომპანიის საკუთარ კაპიტალთან ან ანგარიშგებაში წარდგენილ გამოცხადებულ და გაცემულ დივიდენდებთან მიმართებაში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ქონდა მოთხოვნა გაცემული სესხიდან 5,658 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული სესხი ექვემდებარებოდა გაუფასურებაზე შეფასებას მის ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. მენეჯმენტის შეფასებით სესხი არ არის გაუფასურებული და მოსალოდნელია მომავალში თანხის შემოსვლა კომპანიაში. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება რომ დავრწმუნებულიყავით სჭირდებოდა თუ არა კორექტირება წარდგენილ გაცემულ სესხს 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების და დაგროვილი ცვეთის სისწორე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და 2019 და 2020 წელს ამ ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა 922 ათასი და 353 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია თვითღირებულებით, მენეჯმენტი გეგმავდა გამოეყენებინა სტანდარტით დადგენილი ნებაყოფლობითი გამოწვევის და მის ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, ძირითადი საშუალებების ღირებულებად აედო რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება, მას შემდეგ რაც დასრულდებოდა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის

შედეგების სრულად ასახვა. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე პერიოდში ვერ დასრულდა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პროცესი. ამ ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,771 ათას ლარს ხოლო დაგროვილი ცვეთა 1,780 ლარს.

აუდიტი ჩატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. კომპანიას კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე შეჩერებული აქვს საოპერაციო საქმიანობა და დარღვეული აქვს სასესხო ვალდებულებების დაფარვის გრაფიკი. მენეჯმენტის შეფასებით, არ არის მოსალოდნელი რომ ბანკი მოითხოვს არსებული ვალდებულებების დაფარვას შემჭიდროვებულ ვადებში და კომპანია მას შემდგომ რაც განაახლებს საქმიანობას, მალევე შეძლებს სესხების გრაფიკის მიხედვით დაფარვას. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, კომპანიის უნართან განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 18-23 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მს. ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“-ს მიერ გამოცემულ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან, ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს.

შპს „ეკოვის-ფინანსების“ სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

26 თებერვალი, 2021

თბილისი, საქართველო

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“-ს მიერ გამოცემულ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან, ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების“ სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

26 თებერვალი, 2021

თბილისი, საქართველო

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი თამაშობებიდან	5	6,126	27,839
სხვა საოპერაციო შემოსავალი		520	235
თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(4,620)	(13,437)
საერთო მოგება		2,026	14,637
კომერციული ხარჯი	7	(570)	(2,752)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(3,307)	(8,643)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(1,851)	3,242
ფინანსური შემოსავალი		385	373
ფინანსური ხარჯი	9	(628)	(765)
საკუთრო მოგება/(ზარალი)	10	(782)	(389)
სხვა არასაოპერაციო წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	11	704	90
მოგება(ზარალი) დაბეგრამდე		(2,172)	2,551
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(2,172)	2,551
შეწყვეტილი ოპერაციები:			
ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	(240)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(2,172)	2,311

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 26 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:


 ანასტასია თოფურიძე
 დირექტორი


 არმან ჯინჭელაშვილი
 ფინანსური დირექტორი

შპს „ს გემზლინგ ჰოლი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი თამაშობებიდან	5	6,126	27,839
სხვა საოპერაციო შემოსავალი		520	235
თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(4,620)	(13,437)
საერთო მოგება		2,026	14,637
კომერციული ხარჯი	7	(570)	(2,752)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(3,307)	(8,643)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(1,851)	3,242
ფინანსური შემოსავალი		385	373
ფინანსური ხარჯი	9	(628)	(765)
საკურსო მოგება/(ზარალი)	10	(782)	(389)
სხვა არასაოპერაციო წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	11	704	90
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე		(2,172)	2,551
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(2,172)	2,551
შეწყვეტილი ოპერაციები:			
ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	(240)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(2,172)	2,311

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 26 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

ანასტასია თოფურიძე
დირექტორი

არმაზ ჯინჭელაშვილი
ფინანსური დირექტორი

შპს „ს გემზლინგ ჰოლი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	5,523	5,945
არამატერიალური აქტივები		49	1,180
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,572	7,125
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	181	199
გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები	14	5,849	4,948
საგადასახადო აქტივი		66	-
წინასწარ გაწეული ხარჯები		-	1,268
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	253	1,143
სულ მიმდინარე აქტივები		6,349	7,558
სულ აქტივები		11,921	14,683
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	-	70
გაუნაწილებელი მოგება	16	(2,251)	1,921
სულ კაპიტალი		(2,251)	1,991
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	-	8,324
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	8,324
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	18	-	356
მოკლევადიანი სესხები	17	10,937	983
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	3,235	3,029
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,172	4,368
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,921	14,683

შპს „ს გემზლინგ ჰოლი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018	503	2,031	2,534
კაპიტალის შემცირება	(433)	-	(433)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(2,421)	(2,421)
წლის სრული შემოსავალი	-	2,311	2,311
31 დეკემბერი 2019	70	1,921	1,991
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(70)	-	(70)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(2,000)	(2,000)
წლის სრული ზარალი	-	(2,172)	(2,172)
31 დეკემბერი 2020	-	(2,251)	(2,251)

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2020	2019
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(2,172)	2,311
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	355	937
საპროცენტო შემოსავალი	(385)	(373)
საპროცენტო ხარჯი	628	765
აქტივის გაუფასურების ხარჯი	127	-
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	45	-
სარგებელი ვალის პატიებიდან	-	257
საკურსო სხვაობების ეფექტი	782	389
მოგება/(ზარალი) სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე	(620)	4,286
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	18	49
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	114	1,187
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	(66)	156
ცვლილებები წინასწარ გაწეულ ხარჯებში	2,272	-
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	59	(266)
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(356)	(2,445)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	1,421	2,967
გადახდილი პროცენტი	(628)	(590)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	793	2,202
საინვესტიციო აქტივობები		
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(70)	(433)
გაცემული სესხის დაფარვა	-	378
მიღებული პროცენტი	-	7
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	168	-
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(101)	(1,675)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(3)	(1,722)
ფინანსური აქტივობები		
აღებული/(დაფარული) სესხი	326	2,132
გადახდილი დივიდენდი	(2,000)	(2,632)
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივობებში	(1,674)	(500)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	(884)	(21)
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	1,143	1,212
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(6)	(48)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	253	1,143

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

„ს გემბლინგ ჰოლი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2015 წლის 9 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404497273.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა. კომპანიაში 2020 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 15 თანამშრომელი (2019 - 605). კომპანიის დირექტორია ანასტასია თოფურაძე.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ამაღლების ქ., N 12, სად. 1, სართული 1, ბ. 1. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილია თბილისი, 26 მაისის მოედანი N 1, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ სხვადასხვა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული სერვისების მიღება როგორცაა სათამაშო აპარატები, ტოტალიზატორი, ვირტუალური თამაშები, სტად პოკერი და კენო. კომპანიის შემოსავლების დიდი ნაწილი გენერირდება სათამაშო აპარატებიდან.

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ დახურა გლდანის ფილიალი სადაც მომხმარებლებს სთავაზობდა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული სერვისებს.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და ანგარიშგების გამოცემის მომენტისთვის არ შეცვლილა კომპანიის მეწილე და 100% წილის მფლობელია ივანე თარხნიშვილი.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მართებულობის შეფასებისას გამოყენებული მსჯელობა და დაშვებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მეოთხე შენიშვნაში.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები.

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

2020 წლის პირველ თვეებში ჩინეთში წარმოშობილი ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების, COVID-19, გავრცელება დაიწყო გლობალურად, რაც აფერხებს ბიზნესსა და ეკონომიკურ აქტივობას. 2020 წლის მარტში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მას პანდემიის სტატუსი მიანიჭა. ვირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფით გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზე მსოფლიო მასშტაბით.

2020 წლის მარტში მსოფლიო მასშტაბით მთავრობების უმეტესობამ (მათ შორის საქართველოშიც) დააწესეს სხვადასხვა სახის შეზღუდვები ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. უმეტესწილად ეს იყო კარანტინის სახის შეზღუდვები, საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტირების შეზღუდვა, გარკვეულ ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვა, საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების შეზღუდვა, საჯარო სივრცეების უმეტესობის დახურვა. 2020 წლის მარტის თვიდან საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას აკრძალული ჰქონდა აზარტული თამაშობების მოწყობა, აღნიშნული შეზღუდვა ძალაშია ასევე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის მომენტში.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

დაუმთავრებელი მშენებლობა. დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ელექტრო მოწყობილობები	3-10
სათამაშო აპარატები	10-15
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საბუღალტრო პროგრამები	5-10 წელი
სხვა	1-5 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც

წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკუროს სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. კომპანიის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს კომპანიის დარბაზებში განთავსებული სლოტ აპარატები. ამონაგები აღიარდება ნეტო თანხით აპარატებში ჩარიცხული თანხა შემცირებულია გაცემული მოგებით. კომპანია არ სთავაზობს მომხმარებელს საბონუსო პროგრამებს და აქციებს. შემოსავალი აღიარდება იმ მომენტში როდესაც მომხმარებელი მიიღებს მომსახურებას და დადგება შედეგი.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.

კომპანიის უნარზე განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- პანდემიიდან გამომდინარე საანგარიშგებო პერიოდში რეალიზაციის მნიშვნელოვნად შემცირება და არსებული შეზღუდვების გამო საქმიანობის იძულებითი შეჩერება.
- კომპანიას დარღვეული აქვს სასესხო ვალდებულებების დაფარვის გრაფიკი.

მენეჯმენტმა იმის შესაფასებლად აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ იხელმძღვანელა შემდეგი ფაქტორებით:

შემოსავლის მკვეთრი შემცირება 2020 წელს სრულად გამოიწვია კოვიდ პანდემიამ. დაწესებული შეზღუდვების გამო თითქმის სრული წლის განმავლობაში აკრძალული იყო ქვეყანაში აზარტული თამაშობები, რაც პირდაპირ აისახა კომპანიის გაყიდვებზე. შედეგად, 2020 წელს შემოსავლები შემცირდა დაახლოებით 70%-ით და წლის ზარალმა შეადგინა 2,172 ათასი ლარი. მენეჯმენტის ინფორმაციით 2021 წლის მარტის თვიდან სრულად მოიხსნება თამაშობების გამართვაზე შეზღუდვა. საოპერაციო საქმიანობის განსაახლებლად კომპანიას არ სჭირდება დამატებითი ხარჯების გაწევა, მენეჯმენტი ვარაუდობს რომ მას შემდეგ რაც მოიხსნება შეზღუდვა აზარტულ თამაშებზე, კომპანია დაუბრუნდება პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას.

2020 წლის განმავლობაში კომპანიას შეჩერებული ქონდა საბანკო სესხის ძირის მომსახურება, ხოლო საპროცენტო ხარჯის გადახდა კი ხდება ბანკის მიერ გამოყოფილი დამატებითი დაფინანსების საშუალებით.

მენეჯმენტის შეფასებით გრაფიკის დარღვევა არ არის კრიტიკული პრობლემა ბანკთან ურთიერთობაში რადგან კომპანიასა და ბანკს აქვთ დიდი ხნის თანამშრომლობის გამოცდილება, მიუხედავად სესხის გრაფიკის დარღვევისა ბანკი ითვალისწინებს პანდემიის ნეგატიურ გავლენას მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე და ხელს უწყობს კომპანიას სესხის დაფარვაში, კომპანიის ლიკვიდურობის გათვალისწინებით. მენეჯმენტს სჯერა, რომ უახლოეს პერიოდში კომპანია განაახლებს გრაფიკის შესაბამის გადახდებს და ბანკთან მომავალშიც გააგრძელებს თანამშრომლობას ორივე მხარის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, მენეჯმენტს სჯერა, რომ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების გამოყენება მართებული და შესაბამისია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიკური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს „ს გემბლინგ პოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი თამაშობებიდან

	2020	2019
წმინდა შემოსავლები სლოტებიდან	6,126	27,815
წმინდა შემოსავლები სტად პოკერიდან	-	24
სულ	6,126	27,839

6. თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2020	2019
სანებართვო ხარჯები	(2,003)	(2,031)
მოსაკრებლის ხარჯი	(1,291)	(5,628)
საიჯარო ხარჯი	(621)	(3,213)
ხელფასი და სხვა სარგებელი	(544)	(2,163)
ცვეთა და ამორტიზაცია	(161)	(402)
სულ	(4,620)	(13,437)

7. კომერციული ხარჯი

კომერციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2020	2019
წამახალისებელი გათამაშების ხარჯები	(247)	(1,075)
საიჯარო ხარჯი	(193)	(973)
მომხმარებელთა კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები	(93)	(548)
სარეკლამო ხარჯი	(8)	(53)
სხვა	(29)	(103)
სულ	(570)	(2,752)

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2020	2019
ხელფასი და სხვა სარგებელი	(1,894)	(5,968)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(480)	(981)
საიჯარო ხარჯები	(194)	(149)
ცვეთა და ამორტიზაცია	(192)	(520)
არამატერიალური აქტივის გაუფასურების ხარჯი	(127)	-
საექსპლოატაციო ხარჯები	(65)	(111)
საგადასახადო ხარჯები	(60)	(126)
უიმედო ვალების ხარჯი	(45)	-
აუდიტორული და საკონსულტაციო ხარჯები	(38)	(74)
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები	(35)	(183)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(34)	(251)
ბანკის ხარჯები	(17)	(98)
საწვავის ხარჯები	(9)	(22)
სხვა ხარჯები	(117)	(160)
სულ	(3,307)	(8,643)

9. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი უცხოურ ვალუტაში მიღებულ დაფინანსებაზე	(356)	(729)
საპროცენტო ხარჯი ლარში მიღებულ დაფინანსებაზე	(272)	(36)
სულ	(628)	(765)

10. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

სავალუტო ოპერაციებიდან წარმოშობილი მოგება/(ზარალი) შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2020	2019
გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები	675	304
სასესხო ვალდებულებები	(1,304)	(615)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(147)	(30)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(6)	(48)
სულ	(782)	(389)

11. სხვა არასავალუტო წმინდა შემოსულობა/(ზარალი)

	2020	2019
საგადასახადო ვალდებულების შემცირება	430	-
ვალის პატიება	209	330
სახელმწიფოსგან მიღებული გრანტი	25	-
დარიცხული საურავი	-	(165)
სხვა	40	(75)
სულ	704	90

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ელექტრო მოწყობილობები	სათამაშო აპარატები	ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2018	1,290	2,039	2,364	1,078	6,771
შემოსვლა	2	1,189	697	29	1,917
გასვლა	(12)	(2)	(5)	(8)	(27)
31 დეკემბერი 2019	1,280	3,226	3,056	1,099	8,661
შემოსვლა	-	78	-	23	101
გასვლა	(11)	-	(196)	(8)	(215)
31 დეკემბერი 2020	1,269	3,304	2,860	1,114	8,547
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2018	(603)	(682)	(206)	(293)	(1,784)
ცვეთის ხარჯი	(133)	(310)	(327)	(165)	(935)
გასვლა	1	-	1	1	3
31 დეკემბერი 2019	(735)	(992)	(532)	(457)	(2,716)
ცვეთის ხარჯი	(47)	(114)	(133)	(61)	(355)
გასვლა	5	-	40	2	47
31 დეკემბერი 2020	(777)	(1,106)	(625)	(516)	(3,024)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	545	2,234	2,524	642	5,945
31 დეკემბერი 2020	492	2,198	2,235	598	5,523

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სათადარიგო-სარემონტო მასალები	76	102
საქონელი და ნახევარფაბრიკატები	23	2
პერსონალის აღჭურვილობა	-	3
სხვა მარაგები	82	92
სულ	181	199

14. გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გაცემული სესხები	5,658	4,600
გადახდილი ავანსები	132	203
სხვა მოთხოვნები	78	130
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	26	15
სულ გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები	5,894	4,948
უიმედო ვალების რეზერვი	(45)	-
სულ გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები, წმინდა	5,849	4,948

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული	179	1,113
ფული ბანკში	74	30
სულ	253	1,143

16. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 200 ლარს (ერთეულ ლარში). წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი შემცირდა 70 ლარით. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს.

2019 და 2020 წელს დივიდენდის გამოცხადება და გაცემა ხდებოდა პერიოდულად, 2019 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა დივიდენდმა შეადგინა 2,421 ლარი, ხოლო 2020 წელს 2,000 ლარი.

17. მიღებული სესხები

ინფორმაცია მიღებულ სესხებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

გრძელვადიანი სესხი:

ბანკი	აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სს საქართველოს ბანკი	29-03-19	25-05-29	აშშ დოლარი	-	8,324

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი:

სს საქართველოს ბანკი	29-03-19	25-05-29	აშშ დოლარი	-	983
----------------------	----------	----------	---------------	---	-----

მოკლევადიანი სესხები:

სს საქართველოს ბანკი	29-03-19	25-05-29	აშშ დოლარი	10,937	983
----------------------	----------	----------	---------------	--------	-----

სულ მოკლევადიანი სესხები				10,937	983
---------------------------------	--	--	--	---------------	------------

უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 7%-დან 9.1%-მდე. კომპანიას 2020 წლის განმავლობაში დარღვეული აქვს სასესხო ვალდებულებების გრაფიკის შესაბამისად გადახდები. და შესაბამისად სასესხო ვალდებულება სრულად კლასიფიცირდება მიმდინარედ.

18. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდის განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება მოგების გადასახადის მოქმედების არეალს და აღიარდება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	2,745	2,831
გადასახდელი დივიდენდი	475	11
გადასახდელი ხელფასები	2	33
მიღებული ავანსები	-	126
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	13	28
სულ	3,235	3,029

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შპს „ამატიკ ჯორჯია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	13	28

რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

კომპანია	დაკავშირების სახე	2020	2019
შპს „S ინვესტი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	1

შეძენა დაკავშირებული მხარისგან

კომპანია	დაკავშირების სახე	2020	2019
შპს „S ინვესტი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	618
შპს „ამატიკ ჯორჯია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	62	412

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2020	2019
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	206	810

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას რაც მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ს გემბლინგ ჰოლი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ანასტასია თოფურიძე, დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება, რომელიც შედგება ერთი პარტნიორისგან: ივანე თარხნიშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ზაზრები: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის გენერირების მთავარ წყაროს, უმნიშვნელო გამოწვევების გარდა.

კომპანიის შემოსავლები ტერიტორიული განაწილების მიხედვით არის შემდეგი:

	2020	2019
წმინდა შემოსავალი თამაშობებიდან - საბურთალოს ფილიალი	6,126	27,815
წმინდა შემოსავალი თამაშობებიდან - გლდანის ფილიალი	-	24
	6,126	27,839

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები

2020 წლის დასაწყისში კომპანიის ბიზნეს პროცესი სრულად ხორციელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, ორ ფილიალში: თბილისში - საბურთალოსა და გლდანში. 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ შეაჩერა საქმიანობა გლდანის ფილიალში და 2021 აპრილს საქმიანობა გააგრძელა მხოლოდ საბურთალოს ფილიალში.

კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილია - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, 26 მაისის მოედანი 1

კომპანიის შემოსავლები ტიპების მიხედვით არის შემდეგი:

	2020	2019
წმინდა შემოსავლები სლოტებიდან	6,126	27,815
წმინდა შემოსავლები სტად პოკერიდან	-	24
სულ წმინდა შემოსავალი აზარტული თამაშებიდან	6,126	27,839

კომპანიის სტრუქტურა

2019 წლის 5 აპრილიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში კომპანიის დირექტორია ანასტასია თოფურიძე. წესდების მიხედვით დირექტორს ნიშნავს და ამტკიცებს პარტნიორთა კრება.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის შემოსავალმა შეადგინა 6,126 ლარი, რაც 77,9%-ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ მონაცემზე.

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



ძირითადი კოეფიციენტები:

	2020	2019
სულ შემოსავალი	6,126	28,274
სულ აქტივები	11,921	14,684
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	15	605
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio)	0.45	1.73
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	0.44	1.68
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	255.58	107.74
მარაგების ბრუნვა (დღე)	15.01	7.98
უკუგება კაპიტალზე	0.96	1.28

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 15-დან 640-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირებელი, შპს „ს გემბლინგ ჰოლი“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიის ბიზნეს პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის ძირითადი მომსახურების გამწვევი კომპანიები არიან: შპს „ამატიკ ჯორჯია“, შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“, შპს „ა ინვესტი“. კომპანიის მომხმარებლები არიან როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოს ვიზიტორები.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ ბიზნეს პროცესი მთლიანად რეგულირდება საქართველოს კანონით ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ და ასევე საქართველოს კანონით სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ.

კომპანიაში უკანასკნელი საგადასახადო შემოწმება ჩატარდა 2019 წელს, რომელიც მოიცავდა 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია ბაზრის მოთხოვნის და გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად ლოკაციების მოძიება ახალი ფილიალების გახსნისთვის, არსებულ ფილიალებში სათამაშო აპარატების და თამაშების სახეობების მრავალფეროვნების შენარჩუნება. ტექნოლოგიური სიახლეების შესაბამისად ახალი თაობის სათამაშო აპარატების შემოტანაზე დროული გადაწყვეტილებების მიღება.

მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული მუშაობა კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს მომავალი ბიზნეს გეგმის ძირითადი მიმართულებები. კომპანიის დამფუძნებელი და მენეჯმენტი გადაწყვეტილებებს მიიღებს ანგარიშში მოცემული ძირითადი მიმართულებების მიხედვით. ამ ეტაპზე მენეჯმენტი ასევე აქტიურად მუშაობს არსებული ბიზნეს პროცესების სრულყოფასა და მომსახურების ხარისხში კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2020 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2020	2019	გადახრის ახსნა
შემოსავალი თამაშობებიდან	6,126	27,839	შენიშვნა 1

შენიშვნა #1:

თამაშობებიდან მიღებული შემოსავლების შემცირება დაკავშირებულია 2020 წლის განმავლობაში კოვიდ პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებთან. სახელმწიფო რეგულაციების გათვალისწინებით 2020 მარტში კომპანიას შეეზღუდა ფუნქციონირების უფლება და საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე არ განუახლებია საოპერაციო საქმიანობა.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2020	2019
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3 728.6	3,716.9
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.9	17.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,275	4,763.5
მშპ-ის რეალური ზრდა, %	(6.2%)	5.1%
საშუალო წლიური ინფლაცია	5.2%	4.90%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	616.9	1,267.7
უმუშევრობის დონე, %	18.5%	11.60%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არ გააჩნია საკრედიტო რისკი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:



- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

- გამოიშუაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 26 თებერვალს:


ანასტასია თოფურიძე
დირექტორი
არმაზ ჯინჭველაშვილი
ფინანსური დირექტორი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 26 თებერვალს:

ანასტასია თოფურიძე
დირექტორი

არმაზ ჯინჭველაშვილი
ფინანსური დირექტორი